



კვირა, 20 ოქტომბერი, 1918 წ.

# მ რ მ ა

№ 56

კაბულის ფასი 40 კაპ.

**გაზეთის ფასი:**  
ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:**  
პირველ გვერდზე პერიტით სტრიქონი 1 მან., მეორეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლობა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакция газ. „Шрома“, Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

**მიიღება ხელის მოწერა**  
**ყოველ-ღიუს გაზეთ**  
**„მ რ მ ა“ - ზე**

მისამართი: თბილისი, ბარონის ქუჩა № 16 «მრმის» კანტორა

**ქ. ზუგდიდური**  
(10) ნოემბერს ახალი სტ დანიშნულია სოციალისტ-რევოლუციონერთა ჰარტიის ზუგდიდის სამაზრო ცრილობა.

**განცხადება**

მასარჩევია საკითხები:

1. საერობო არჩევნები,
2. სიუბის შედგენა.
3. მომენტი და სხვ.

წერილი სოფლის ორგანიზაცია გზავნის ორ-ორ წარმომადგენელს. ყოველი განხილვისა ზუგდიდის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში.

ს. რ. ზ. ზუგდიდის მაზრის კომიტეტი.

**ქ. ქუთაისური**  
სა 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ჰარტიულ ბიუროში დანიშნულია

**საქალაქო**  
**კონფერენცია**

აღივლილია მეტად საყურადღებო საკითხები. ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ.

სოც.-რევ. ჰარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი.

**იმი ი. კ. აბაქელია**  
**მინაგანი ავადმყოფობა.**

საუბრებით ავადმყოფობანი გულ-ფარის, ფილტვებისა, სასუნთქისა, ღებების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ნობა (ლიანოზი) და წამლობა ლევიკისა, სისხლნაკლებობისა და მალარიისა.

საუბრების მიღება ყოველ დღე კვირისა საღამოს 4<sup>1</sup>/<sub>2</sub>—6 საათამდე.

მდიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

**თბილისი, 20 ოქტომბერი.**

წინა დღეებში გამოცხადდა იყო სოციალისტ-ოფიცრების შესახებ. ჩვენი რეაქციური წრეები, რომლებსაც ვერ ვხედავთ ჯარში თავისუფალი და მოქალაქეობის არა, მეტად მტრულად შეხედენ ავს, ეს ასე უნდა მომხდებოდეს, ვინაიდან რეაქცია და რესპუბლიკისა და რესპუბლიკისა ყოველთვის ჯარის შემ-

წვობით ცდილობდა თავისი მიზნების მიღწევას და თუ იქ შეიქმნა თავისუფალი აზრი და მოქალაქეობრივი შეგნება, რეაქციას იმედები გაუტრუფდება. ეს კარგათ ესმით ჩვენს რეაქციონერებს, ამიტომაც იბრძვიან ესენი ასე გაშმაგებით, რათა ჩვენი მხედრობა ჩინურ კედლებში მოამწყვდიონ და იქ აწარმოონ თავისი პოლიტიკა. ჩვენი მოწინავე ოფიცრობა ვალდებულია ამას სერიოზული ყურადღება მიაქციოს.

ჩვენი დამოუკიდებლობა და რესპუბლიკანური რეჟიმი დღითიდღე მტკიცდება ჩვენს მოწინავე ოფიცრობას ამ საქმეში უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს. თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობისა და რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, მას შეუძლია ნიადაგი გამოუცალოს იმ რეაქციონერ მუშაობას, რომელსაც ეწევიან დღეს ჩვენს ჯარში ზოგიერთი სამხედრო

პირები და ჯგუფები. სოციალისტური და დემოკრატიული ოფიცრობა ჩვენში საკმაოდ ძლიერია.

ჩვენ გვწამს, თავის მოვალეობას ის ღირსეულად შეასრულებს და მით ჩიფუშება რეაქციონერების ყველა გეგმები.

## პ რ მ ა.

საერთაშორისო მდგომარეობა დღეს ისე გართულდა, რომ მეტად ძნელია მასში აღმოიჩინო გამოვრკევის, მარა „ერთობას“ რომ სავსებით დავთარი არევი, ეს აშკარაა. გაზეთი კვლავ ზავის საკითხს უბრუნდება და არაკვებს საკითხს, თუ ომი რით გათავდება და მასში ვინ გაიმარჯვებს. გაზეთი სწერს:

„გერმანიის დამარცხება და მის ნანგრევებზე შეთანხმების სახელმწიფოების გამარჯვება ისეთივე პრობლემატურია, როგორც გერმანიის მოწინააღმდეგეზე გაბატონება. ორივე კოალიცია ამჟამათ ისეთ პირობებში იმყოფება, რომ მათ ერთი მეორეზე გამარჯვება არ შეუძლიან. ან ორივენი ერთად გაიმარჯვებენ, ან ორივენი ერთად დაიღუპებიან“.

ამ წაირად ვერც ინგლისის და ვერც გერმანიის კოალიცია ერთი მეორეზე ვერ გაიმარჯვებს. ასეთია ერთი დასკვნა, მარა ამავე დროს თურმე „ან ორივენი ერთად გაიმარჯვებენ, ან ორივენი ერთად დაიღუპებიან“ როგორ შეიძლება ორ მოწინააღმდეგეში ორივემ გაიმარჯვოს ამაზე „ერთობა“ არაფერს ამბობს!

„ან ორივენი ერთად დაიღუპებიან“ — ეს მაშინ შეიძლება, თუ გაიმარჯვა „მესამე ძალამ“ ასეთი მესამე ძალა კი არის საერთაშორისო დემოკრატია, მარა „ეროლის“ აზრით ვერც დემოკრატია გაიმარჯვებს. მართალია დემოკრატია უკვე ირანზავება:

„მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატია, რომელიც ზავს აუცილებლად დააჩქარებს, მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე გადამწყვეტ როლს ითამაშებს და ბურჟუაზიულ კლასებს უფლებებს სრულიათ წაართმევს, რამდენადაც საერთაშორისო მდგომარეობას ვიცნობთ — ამისათვის ინტერნაციონალური დემოკრატია არ არის მომზადებული“.

ასე რომ დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს, და რაკი ეს ასეა ცხადია ბურჟუაზია თავის ანექსიონისტურ პოლიტიკას არ მოიშლის ახლა და უგდეთ ყური ისევე „ერთობას“:

„მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა: საერთაშორისო დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ იგი მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალებას არ მისცემს განუვითარებელ და უკან ჩამორჩენილ ქვეყნებზე პოლიტიკურათ იბატონონ და ისინი თავიანთ პროვინციებთან გამოაცხადონ. დღეს საერთაშორისო დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ იგი ერთა თვით-გამორკვევის არინციბს მაინც სისრულეში მოიყვანს და მრავალ

ერებს პოლიტიკურ თავისუფლებას მიანიჭებს“.

ასე რომ უნდა ჩამოვარდეს ზავი დემოკრატიული, უანექსიო და ეროვნულ თვით გამორკვევის პრინციპზე აგებული: თქვენ გგონიათ? არა, ასე არ მოხდება, ირწმუნება იგივე გაზეთი.

„მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსხვილ და მრეწველობით განვითარებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიური გავლენის სფეროები არ შეინარჩუნონ და ესა თუ ის უკან ჩამორჩენილი კუთხე თავის გავლენის ქვეშ არ მოაქციონ“.

მით უმეტეს, რომ, „არც ეს ომი და არც დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისო დემოკრატის სრულ გამარჯვებით ვერ დასრულდება. და მამასადამე ბურჟუაზიული კლასების იმპერიალისტური პოლიტიკა სავსებით და ძირიანათ არ მოისპობა. აქ ძლიერი სახელმწიფოები კვლავ ბევრ რამეს შეიძენენ, უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოების ხარჯზე, ეკონომიურათ გაძლიერდებიან და ამ განუვითარებელ სახელმწიფოებიდან რამე სახით ეკონომიურ კომპენსაციებს მიიღებენ“.

მაშ, გერმანიის კოალიცია გაიმარჯვებს? — არა! ინგლისის კოალიცია? — არა!

ორივე ერთად გაიმარჯვებენ! გაიმარჯვებს ბურჟუაზია? — არა, რადგან დემოკრატია საკმაოდ ძლიერია!

ჩამოაგდებს დემოკრატია დემოკრატიულ ზავს? — არა, რადგან ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერია!

განთავისუფლდებიან ერები? — კი, რადგან „საერთაშორისო დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ იგი მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალებას არ მისცემს განუვითარებელ და უკან ჩამორჩენილ ქვეყნებზე იბატონონ“.

მართლა ჩამოვარდება ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული ზავი? — არა, რადგან შეუძლებელია, რომ „მსხვილ და მრეწველობით განვითარებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიური გავლენის სფეროები არ შეინარჩუნონ და ესა თუ ის უკან ჩამორჩენილი კუთხე თავის გავლენის ქვეშ არ მოაქციონ“.

გარკვეული პოლიტიკური გეზიც ასეთი უნდა!

დიალექტიკოსებს წაჯექე-უჯექეობა არ გაემტყუნებათ!

## ჩვენი ერობა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ აყვავებისათვის ერობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ, რომ ეს მიზანი სავსებით განხორციელდეს იქნეს, საჭიროა ერობის რიგიან და სამართლიან საფუძველზე აგება, საჭიროა — სწორათ გაგებული და შემოფარგლული იქნეს მისი კომპეტენცია.

თუ ჩვენ ვაშენებთ უაღრესად დემოკრატიულ სახელმწიფოს, მაშინ უდავოა უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ მთელი სიმძიმე სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა გადაეცეს პერიფერიებს, თვითმართველ ორგანოებს. ცენტრი უნდა იქმნეს მხოლოდ ამ თვითმართველ ორგანოთა მოღვაწეობის და მუშაობის კოორდინატორი და რეგულიატორი.

უფლება და კომპეტენცია სახელმწიფოებრივი ორგანოებისა უნდა იზრდებოდეს მით უფრო რაც უფრო შორდება ის ცენტრს და უახლოვდება ხალხს, დემოკრატისა.

ეს დებულება უნდა იქნეს ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფოს აშენების დროს. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეგვეძლება სახელმწიფო დაუახლოვოთ ხალხს და სახელმწიფო და ხალხი შეგვეერთოთ და შევადულოთ ერთ მცნებაში, — ისე რომ სახელმწიფო და ხალხი არ უპირდაპირდებოდეს ერთი მეორეს, არამედ წარმოადგენდეს ერთ ორგანიულ მთელს.

ამ გზით უნდა ვიაროთ ჩვენ. ეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. სამწუხაროა, ყველა პოლიტიკური ჯგუფები ასეთ ნაირათ არ უყურებენ ამ საკითხს.

ჩვენი სოციალ-დემოკრატია ვერ ურიგდება თვითმართველ ორგანოების კომპეტენციის ლოლიკურ დასყენამდე გაფართოვებას.

მათ ორატორებს პარლამენტში ეტყობათ ტენდენცია თვითმართველი ორგანოები დაუმორჩილონ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თუმცა ამ საგანზე არსებითად ჯერ მსჯელობა პარლამენტში არ ყოფილა. მაგრამ ასეთი აზრი მაინც გამოსჭვეთა სოც.-დემოკრატიულ ორატორების სიტყვებში, როცა ისინი სხვათა შორის ახსენებენ ერობას.

ეს მაგალითად, ნათლად გამოჩნდა პარლამენტის სხდომაზე 18 ოქტომბერს.

ასეთივე ტენდენცია ემჩნევა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებსაც, როცა ისინი ერობაზე სწერენ.

ამას გარდა, თვით დღევანდელი საერობო დებულება ამ ტენდენციის საუცხოვო გამოხატულებაა.

ჩვენ აქ ეხლა არ შევუდგებით ამ დებულების განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დებულებით ერობის დაარსების შემდეგაც რჩებიან სამაზრო და საგუბერნიო კომისრები, რომლებიც არა თუ არ ემორჩილებიან ერობას, არამედ მათ აქვთ დებულების ძალით მინიჭებული უფლება კანტროლი გაუწიონ ერობის დადგენილებების კანონიერებას.

სამაზრო და საგუბერნიო კომისრები ემორჩილებიან მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასე რომ, ამ შემთხვევაში ერობის კომპეტენცია შელახულია.

დღეს უკვე შეცნობილია ყველა საგან მიღებულია, რომ თვითმართველი ორგანოები — სახელმწიფო მართველობის ორგანოები და მათი

დაპირისპირება არის მხოლოდ ან მოუწევინებს აზრის ნაყოფი ან კიდევ ფისკალური მიზნებითა გა- მოწვეული. ჩვენთვის დღესათვის ნა- თელია, რომ მთელი ძალა უფლება ადგილობრივ, როგორც ადმინისტრ- რატიული, ისე კულტურულ განმა- ნათლებელი და ეკონომიური უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო ადგილობრი- ვათ არსებულ თვითმართველ ორგა- ნოს.

კომისიები და საერთოდ მილი- ცია უნდა ემორჩილებოდეს ერობას და არა შინაგან საქმეთა სამინისტ- როს. ერობის მოქმედების კანონიერ- ტებს კანტროლი უნდა გაუწიოს სა- სამართლომ და არა კერძო პირებმა. ამის შემდეგ თვით შინაგან საქ- მეთა სამინისტროს არსებობის შესა- ხებ შესაძლოა დაისვას საკითხი, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება მისი არსებობა, მაგრამ ამ საკითხზე შემდეგ.

Anopheles.

ახალი ხანა სავრთაშორისო დამოკიდებულობაში.

ცენტრალურ სახელმწიფოების წი- ნადადებით საზავო მოლაპარაკებების გახსნის შესახებ იწყება ახალი ხანა სავრთაშორისო დამოკიდებულებაში და თვით კაცობრიობის ისტორიაში. ამ წინადადებას სრულიად სამართ- ლიანად ალაპარაკა მთელი კაცო- ბრიობა, ბუნდოვან მომავლის იმე- დები აღუძრა გულში მრავალ ტან- ჯულ ხალხს, რომელნიც ლამის გა- იჯრჯვან მსოფლიო ომის აუტა- ნელ სიძლიძის ქვეშ. მაგრამ ჯერ კი- დევ ძნელი სათქმელია—მოგვიტანს თუ არა რეალურ შედეგებს ცენ- ტრალურ სახელმწიფოების მიერ გა- დადებული ნაბიჯი, რადგან ძლიერ შორს არის შეტანილი თითქმის მთელი ევროპა და ამერიკა, რადგან ჯერ კიდევ არ არიან გამძღარი სი- სხლით კაცის ქამია იმპერიალისტე- ბი და მათი ინტერესების გამოხმა- ტველი მმართველი წრეები, რადგან გამოკიდებულებაში, მწარე გამოკიდლე- ბამ დაგვიანება, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში არ ერთხელ მოგვსმე- ნია საზავო. სამშვიდობო ხმები, რომ- ლეშსაც უკან მოჰყალიბა ხომე კი- დევ უფრო მწვავე, კიდევ უფრო გაცხარებული ბრძოლა და შეტაკე- ბანი.

მასხავს, როდესაც გასული წლის პირველ ნახევრის ბოლოს გერმანიამ ზავის ჩამოგდებაზე დაიწყო ლაპარა- კი, ჩვენი ამხ. ე. რატენერი სწერდა „შემოილა ი ვოლია“-ში: „ევროპის ომის განვითარებაში დაიწყო, სრუ- ლიად ახალი ხანა. მებრძოლი სახე- ლმწიფოები აქამდის ელაპარაკებო- დნენ ერთმანეთს იარაღის საშვალე- ბით, ბრძანებები შეტაკების ანუ და- ხვეის შესახებ, ლაშქრების მოქმედე- ბა, სახეიდრო მასალათა და მოწყო- ბილობათა მდგომარეობა ერთად ერთი საბუთი იყო, რომლის საშვა- ლებით მებრძოლი სახელმწიფოები უმტკიცებდნენ ერთი მეორეს თავის სამართლიანობას. დავა სწარმოებდა მუდამ ძალაზე და არასოდეს უფლებ- ბაზე. ახლა კი მებრძოლ სახელმწი- ფოთა მმართველი წრეები თავაშე- დებით ცდილობენ დაუმტკიცონ ერთი მეორეს სურვილი ომის შეწყ- ყვეტისა და მოახვიონ ერთმეორეს თავზე მიზეზი ადამიანთა ხოცვა-ჟლე- ტისა.

სწორედ ამ დროს რეისტრაციაში დეპუტატი ერცბერგერი საზავო კა- მპანიის სასარგებლოდ წარმოთქმულ სიტყვაში ამბობს: მე რომ მქონდეს შეძლება ამ ახლო დროში ვისაუბ- რო ლოიდ-ჯორჯთან ან ბალფორ- თან ან და რომელიმე იმათ რწმუნ- ნებულთან, ჩვენ, უპეველად, რა- მოდენიმე საათის განმავლობაში შეე- ძლებდით შეთანხმების ძირითადის საფუძვლების შემუშავებას და შემ-

დეგ შეიძლებოდა ოფიციალური მო- ლაპარაკების გამართვა.

ასეთი იყო მაშინ სულის განწ- ყობილება, ასეთი იყო მაშინ იმე- დები ზავზე, მაგრამ იმედები გაც- რუვდა და ომი მთელი თავისი სიმ- კაცრით გაგრძელდა. რამ აიძულა მაშინ მმართველი წრეები ასე თავ- გამოდებით დაეწყათ ლაპარაკი ზა- ვებზე რასაკვირველია, ხალხის დემო- კრატიის მოთხოვნისგან. არ უნდა დაევიწყოთ, რომ ეს მოხდა სტო- კჰოლმის სოციალისტთა თათბირის შემდეგ. ამ თათბირმა განსაკუთრე- ბით დიდი გავლენა მოახდინა გერმა- ნიის სოციალ-დემოკრატიანზე, რა- მელმაც დღევანდების დაბრუნების შემდეგ ენერგიული აგიტაცია გას- წია ზავის ჩამოსადგებად და გერმა- ნიის შინაურ განახლების სასარგებ- ლოდ. ამას შემდეგ მოკვამპერა- ტორ ვილგელმის მანიფესტი პრუ- სიაში საყოველთაო არჩევნების შე- მოღებისა და კანცლერის გეტმან- შოლვეგის გადაყენება.

ახალმა კანცლერმა მიხავლისმა მაშინვე დაიწყო ლაპარაკი უანექ- სიოთ და უკონტრიბუციოთ ზავზე და შეუდგა გამოქვეყნებას და გა- მომჟღავნებას მოწინააღმდეგე სახელ მწიფოთა მთავრობათა მოქმედებისა. მას ხელში ჩაუვარდა საფრანგეთის პარლამენტის 18—19 მაისის სი- დუმლო სხდომების ანგარიშები, რომ- ლებისაგან სჩანს, რომ ბეტროგრა- დიდან დაბრუნებულ სოციალისტ— დეპუტატებმა გამოამჟღავნეს სი- დუმლო ხელშეკრულებანი საფრან- გეთის მთავრობისა და რუსეთის მე- ფის მთავრობის შორის; ამ ხელშე- კრულობათა ძალით, საფრანგეთს უნდა მიეღო არა მარტო ელხას- ლორენი და საარის ბასეინი, არა- მედ დიდი ნაწილი რეინის მარცხ- ნივ მხარეს მდებარე მიწებისა. ამ ხელშეკრულებაში ლაპარაკია არა მარტო სირიაზე, არამედ თვით გერ- მანიასზე.

უეჭველია, რომ შინაარსს სარდუმე- ლო ხელშეკრულებათა არ აცნობდა ხალხს არა მარტო რუსეთის მეფის მთავრობა, არამედ ეს ხელშეკრუ- ლებანი ბურჟუაზია იყო მოცული თვით თავისუფალ საფრანგეთში. ეს იყო შეთქმულება საფრანგეთის ბურჟუაზიისა და მეფის მთავრობი- სა თავის საღებების წინააღმდეგ. სა- ფრანგეთის მთავრობამ უარყო გერ- მანიის წინადადება საზავო მოლაპა- რაკების შესახებ და განაგრძო ომი. მაგრამ უფრო დამთბობი არ გამოდ- გა არც ინგლისის მთავრობა, რო- მელმაც მინისტრ კარსონის პირით განაცხადა, რომ ინგლისი გერმანიის თან მოლაპარაკებას გამართავს მხო- ლოდ მაშინ, როდესაც გერმანიის ჯარები დატოვებენ რეინის აქეთა მხარესაო.

ს. შა—ნაძე.

(დასასრული იქნება)

მთავრობაში.

იუსტიციის კანცლერიის შტატები დამტკიცებულ იქნას და წარედგინოს პარლამენტს.

ივანე ჯავახიძის თხოვნა, თანამ- დებობისაგან განთავისუფლებაზე შე- წყნარებული იქნას, ხოლო იუსტი- ციის მინისტრს დაევალოს მთავრო- ბის შემდეგ სხდომისათვის წარმოა- დგინოს ახალი კანდიდატ ჯავა- ხიძის მაგიერ.

მიენდოს თინანსთა მინისტრს მოახ- დინოს განკარგულება, რათა სახელმ- წიფო ბანკის სოხუმის განყოფილე- ბიდან, აგრეთვე სოხუმის ხაზინიდან მიეცეს საარჩევნო კომისიის თავმ- ჯდომარე შერვაშიძეს აფხაზეთის ყო- დილი სახალხო საბჭოს მიმდინარე ანგარიშებიდან საქარო ფული, საბ- ჯოების გასაუქმებელ აქციების და-

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მოსამსახურეებთან ანგარიშის გასა- სწორებლობათ.

ნება დართოს თბილისის ქალა- ქის თვითმმართველობას ხარჯის მთავრობის მიერ გადაცემული ნაე- თი თავის შეხედულობით, ხოლო იმ პირობით რომ პირველ რიგში ნავთი მოხმარდეს ქალაქის წყალსა- დენს, მეორე რიგში ქალაქის ქუჩე- ბის განათებას და მესამე რიგში ტრამვაის.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის წევრად დაინიშნა ალ- ჯაფარიძე და დავით მდივანი.

ღვაწეუბანი

ბურჯინი. 18 ოქტ. სამხედრო ცნობა- დასავლეთის ფრონტი. უკა- ნასკუნელ დღეებში ჩვენ დავტოვეთ ფლანდრიის ნაწილი, ჩრდილო საფ- რანგეთი და ქალაქები ოსტენდე, ტურკუენი, რუბე, ლილი, დუე ქდა უკანა პოზიციებზე გადავივდიეთ. ბრიუგესა და ლისს შუა გულში მტე- რმა რამოდენიმეჯერ შემოგვიტია დიდი ძალებით. მტერი ყველგან მო- ვიგვრიეთ. ინგლისის რაზმები, რომ- ლენიც შემოიჭრენ ლისის იქითა მხარეს და კორტივის სამხრეთით, კონტრ ატაკით უკან ვავდეთ. ლი- ლის და დუეს აღმოსავლეთით მტე- რთან პატარა შეტაკებები. ლე-კატოსა და უაზის შუა ისევ განახლ- და ბრძოლა. ინგლისელები, ფრანგები და ამერიკელები კვლავ შეეცადენ გაერთიანო ჩვენი ფრონტი, რომ- ლის დროს მრავალი სამხედრო მა- სალა დახარჯეს. ლე-კატოს ორივე მხრიდან ჩვენს მოწინავე პოზიციებ- ზე მოტანილი მტრის იერიშები და- მარცხდა. ლე-კატოსა და ეზენველის შუა მტერმა დაიპყრო ჩვენი პოზი- ციის ნაწილი. ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევაჩერეთ მტერი ჩვენი საარ- ტილერიო პოზიციების წინ. ლა- ვაოისთა, მულატრთან და გზონვი- ლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, იქ სადაც მტერმა გაარღვია ეს ხაზები, ჩვენ მტერმა განგდევნეთ და კონტრ იერიშით უკან დაგახვეინეთ. ეზონ- ვილი და მის სამხრეთით მდებარე ადგილები, მიუხედავად მტრის ძლი- ერი იერიშებისა, ჩვენ შევიწარ- ჩუნეთ. შუადლისას განახლებულ იერიშებიც მოვიგვრიეთ. მო- ვიგვრიეთ აგრეთვე იერიშები უა- ზის ფრონტის წინააღმდეგ ორინიის ჩრდილოეთით. მდინარე ენზე ოლი- ზის აღმოსავლეთით მტერი განაგრ- ძობდა ძლიერ იერიშებს. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერი მოვიგერი- ეთ. პრუსიის მსროლელნი გრანდ- პრეს დასავლეთით და ბრანდერბურ- გელები მასის აღმოსავლეთით პირ- ნათლად ასრულებენ ნაკისრ საქმეს.

სტამბოლი. 18 ოქტ. სამხედრო ცნობა. ყველა ფრონტებზე უცვ- ლელია.

ლონის, 17 ოქტ. (საფრანგეთის რადიო). საფრანგეთის პრესამ ერთ- ხმით მოიწონა კილო, რომლითაც შედგენილია შეერთებული შტატე- ბის მთავრობის პასუხი გერმანიისა- დმი. ვაზეთი ტამპი სწერს: გერ- მანიის მმართველებს სურდათ ხალხის დარბევა და კიდევაც მიაღწიეს ამ მიზანს. ამის პირველი შედეგი ის არის, რომ თავისივე ხალხი, რო- მელსაც ზავი სწყურია, უყურებს მათ, როგორც მთავარ დამნაშავეთ ზავის მიღწევის დაგვიანებაში

შიენსენი, 17 ოქტ. ბავარიის პა- ლატის დღევანდელ კრებაზე მი- ნისტრ-პრეზიდენტმა მანდლმა გან- მარტა სავარყო და შინაურ საქმეთა ვითარება. დაახასიათა სამხედრო მდგომარეობა, რომელსაც უწოდა თავდაცვის ომი, საიდანაც გერმა- ნიის იარაღის ღირსება უმწიველად გამოვა.

აღნიშნა აგრეთვე სამართლიანი ზა- ვისადმი მისწრაფება, რომლის დამ- ყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გერმანიას არ მოსთხოვენ მი- ილღის ისეთი პირობები, რომელიც დაამცირებს მის ეროვნულ ღირსე- ბას. შემდეგ მან აღნიშნა ბავარიის ერთგულება კონსტიტუციისადმი და ბოლოს მინისტრ-პრეზიდენტმა სთქ- ვა, რომ ბავარიის მთავრობა მზა- თაა პალატასთან ერთად იმუშაოს, სადაც ხალხის წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებენ მართე- გამგეობაში.

გერმანიის პრესა. 17 ოქტ. „ფრან- კფურტის ვაზეთი“ პრეზიდენტ ვილ- სონს პასუხის გამო სწერს: „ვილოს და შინაარსის განსხვავება პრეზიდენტ ვილსონის პირველსა და მეორე ნო- ტას შორის, თვალსაჩინოა. იმ დროს, როცა პირველი პასუხი უფრო შე- კითხვა იყო და გერმანიის პასუხი იმედს იძლეოდა რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ ომი ფაქტურად დასრულდებოდა და საზავო მოლა- პარაკებას დაიწყებდით, ეს იმედი, ვილსონის ახალი ნოტის გამო დაი- ყარვა. დღეს ვეჭვობთა რომ ზავი მუდმივი ან დროებითი მალე შეი- კრას. რაც შეეხება სისისტიკეს რომ- ლელზედაც პრეზიდენტი ვილსონი მიუთითებს გერმანიის მთავრობას ვუპასუხებთ, რომ მხოლოდ ზავს შეუძლიან მოსპოს. საერთოდ გერ- მანიას არ შეუძლია უკამათოდ მი- იღოს ამგვარი ბრალდებები. ცხადია გერმანიის მთავრობა დიდხანს არ დააყენებს დამნაშავეთა ძიება გასა- მართლებას თუკი რაიმე დანაშაულს მართლა აქვს ადგილი.

19 ოქტ. საფრანგეთის სოცია- ლისტურ პარტიის კონფერენცია, რომელშიაც გამოსთქვამს სრულ თა- ნხმობას ნაციონალურ თავდაცვის საქმეში.

ამასთან ერთად პარტია თავის წმინდა მოვალეობათ სთვლის გააას- ტელოს შრომა და ენერგია მიმარ- თული ამ სისხლის მღვრელ ომის მოსპობისაკენ თანხმად ინგლისის მუშათა კონგრესის დადგენილებისა, საფრანგეთის სოციალისტური პარ- ტია შეებრძოლება ყველა მთავრო- ბას, რომელიც ხელს შეუშლის ინ- ტერნაციონალის შეკრებას და აწარ- მოებს რა იმპერიალისტურ პოლი- ტიკას, უარყოფს ყველასათვის მისა- ლებ ზავის პირობებს. ამის გამო პარტია ავალებს თავის გამგეობას და აგრეთვე პარლამენტის ფრაქციას, რომ მათ მიიღონ ყოველგვარი სა- შუალეობაში მიზნის მისაღწევით თვით სამხედრო კრედიტის უარყოფამდე.

ჯერ კიდევ სანამ ვილსონის სა- პასუხო ნოტის შინაარსი არ იცო- დნენ ბერლინიში, კავშირის საბჭომ შეიტანა რეისტრაცია კონსტიტუციის § II შეცვლის პროექტი, რომლის მიზანი იყო ომის და ზავის საკითხი ხალხის წარმომადგენელთა გადაწყვეი- ტათ. პარტიათა უმრავლესობამ გა- მოიმუშავა პროგრამა, რომელიც მი- იღო მთავრობამ, რომლითაც სამხე- დრო უწყება უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქოს და სამხედრო მთავრო- ბას არ უნდა ექნეს გავლენა პოლი- ტიკაზე.

ჯერჯერობით ვილსონის ნოტა არ გვატლევს იმედს დავინახოთ მას- ში ზავის ინიციატორი. როგორც სჩანს, ვილსონი თავის მოკავშირე- ებთან კვლავ განაგრძობს მოლაპა- რაკებას, რომლის შედეგს, ალბათ, ახალ ნოტაში გავიგებთ. საქმის გა- ქიანურების დროს კი ინგლისისა და საფრანგეთის პრესაში იმგვარ წერი- ლებს ვკითხულობთ, რომელიც ზა- ვის მოახლოვებას არ გვპირდება. ამი- ტომ ისინი ვისაც ზავი სურს თავი- სი სურვილებით შორს არ უნდა წა- ვიდეს. გერმანიის ხალხი ასე არას- დროს არ ყოფილა ზავის მომხრე, როგორც ახლა. მაგრამ შეიძლება ეს სურვილი შეიცვალოს თუ ისეთი

„შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ აშკარა იქნება, რომ შრომისა და გლეხის კლასები ანტი-იმპერიალისტურად მიიღებენ ზავის მოთხოვნას. მოხდება ეს შე- ლება არსებულ, თუ მომავალ ვრობის დროს,—მისი შედეგი ბა დიდი და საბედისწერო ორი ალის განსახორციელებლობათ: გერ- მანიის დემოკრატიზაციისა და ნებათა ლივის დაარსებისა, ლები, რომელთა განხორციე- ლი წინააღმდეგეთა რწმუნებით მოჰყვეს ამ სისხლისმღვრელ ომს დევით. ზავის იმედების დამარ- ბას შეუძლია აღადგინოს ძე- რე წყობილება. რომელსაც სძავს ჩახალხო მთავრობა.

თეოდორ ვოლფი „ბერლი- ტაგებლატის“ მოწინავე წერი- ვილსონის საპასუხო ნოტის შეს- სწერს: „აქამდის თავის სიტყვე- და წერილობითი მიმართებაში პრეზიდენტი ვილსონი ყოველთვის სხვავდება გერმანიის ხალხს იმათ ვინც ლდემდის განაგებდა. მამო- ილბაღს. იმავ დროს ვილსონი ერთხელ აღნიშნავდა თავის სიტყ- ვილს გერმანიის ძველ გამგეო- სისტიკისადმი და გამოსთქვამდა ვის სიყვარულს გერმანიის ხალხს დმი. თუ დავიჯერებთ, რომ ვი- სონს მართლა სურს ხალხთა მო- გება და მეგობრული კავშირის და- ყარება, დღეს მის სიტყვებს არ და ექნეს გამარჯვებულის კილო რომელიც კარნახობს თავის ნე- სურვილს, ქნელია იქ სამართლი- ზავის მიღწევა, სადაც პოლიტი- რი მოღვაწე ლაპარაკობს ისე- ენით, რომელიც ეყრდნობა ძა- ღობის თეორიას.

ახალი ამბავი

თბილისში ჩამოვიდა კოლმეკო- თავმჯდომარეობით თერგის ოლ- სასურსათო კომიტეტის კომისი- რომ საქართველოს მთავრობას ხელშეკრულება დასდონ საქონ- გაცვლის შესახებ. კომისიის ცნ- ბით თერგის ოლქში ისეთი მო- ვალი, როგორც წრეულს, არას- დღეს არ ყოფილა.

ახლა მომავალში მოწვე- იქნება თერგის მთავრობის მი- მთიულთა ხალხის მე-ნ ყრილო შესაძლებელია ამ ყრილობაში მ- ნაწილეობა მიიღონ ყაზახებმაც. ყ- ლობა გაარჩევს ფრიად საყურ- ლებო საკითხებს.

სოფლმ. ქალაქის საავადმე- ფოში 18 ოქტომბერს მოიყა- ვრთი ხოლორიანი. გარდაიცვალა ამ დღეს საავადმყოფოში ითვლ- ბოდა ხოლორიანი 45. საექვეო 8.


შსსტუნის გარდაცვალება. ოქტომბერს ღამით, გარდაიცვა ამიერ-კავკასიის მიწვა-მოქმედ- მინისტრის ყოფილი ამხანაგი ა. ხატუნა.

გ. შარქისისადამო. დღეს ც- ტრო-კლუბში (სახალხო უნივერ- ტეტში) შესდგება კ. მარქისის ღამო, ასი წლის შესრულებას გა- მისი დაბადებიდან. საღამოზე წ- კითხვევენ მოხსენებებს.

ადელხანავის მოტაცება. ოქტომბერს ღამის პირველ საათ- მოიტაცეს მდიდარ ადელხანო- შვილი. ბოროტმოქმედებმა გზ- ცეხულის დედას მოსთხოვეს 2 ლიონი მან. წინააღმდეგ შემთხვე- ვაზე არ მისცემენ.

18 ოქტომბერს ღამით კო- პერაცია „შრომიდან“ ბოროტ- ზრახველებმა გაიტაცეს 100, ათა- მანეთის სხვადასხვა ძვირფასი ქონელი.

21 ოქტომბრიდან თბილის- მდამო მოქალაქეთა გამგეობა გაუ- დება.



**ჭუთაისის ამაღი.**  
 კუთაისის ბაზარზე სიმინდის ფასი 50 მან. დეკა, ფქვილის 60 მან.  
 — ხონში სიმინდი ფასობს 30 მან., ფქვილი 40 მან.  
 — კუთაისში ძლიერ გავრცელებულია „ისპანკა“ ეს ავადმყოფობა სოფლებშიც მივიჩნევით. სოფლებში გავრცელებულია აგრეთვე საქონლის ქირო.

**მოწყობილი ამბები**  
 ზუგდიდი. ანარქია ჩაქრა. ხალხი შეუღდა მყუდრო ცხოვრებას. ყაზახებმა შეადგინეს რაზმი, აქა იქ ისინი ეცემოდნენ ოჯახებს. მთავრობამ შეადგინა მფრინავი რაზმი მათ წინააღმდეგ.  
 გენ. გ. დევანიშვილის ჯარი აქ გასა, მან დიდი უნარი გამოიჩინა ნარქიის ჩაქრობაში. გერმანელები ოქტომბერს ზუგდიდს ესტუმრენ. იტხებით 50.  
 მაზრაში მოსავალს კარგი პირობას. შიმშილობდა არ არის მოსალოდნელი. სიმინდის ტენას უკვე შეუღდა. გლეხები შიშობენ, რომ მათზე ბაგს შემოიღებენ. თუ ბაგები შემოიღეს მიწებზე, ანარქია გლავ იჩენს თავს.

**საქართველოს პარლამენტში.**  
 (18 ოქტომბრის სხდომა)  
 კრება იხსნება გ. თავაიშვილის ამაღლამარობით I ს. და 10 წ. დევანი აბაკელია კითხულობს დღის წესრიგს, რის შემდეგ პარლამენტი გადადის მორიგი საკითხების განხილვაზე.  
 ამაღლამარ. პარლამენტის წევრი ბარაქობი.  
 ამარაჟაბა. (ნ. დ.) კითხულობს ხალხო შეკრების მასწავლებელთა შეთავაზებულ მდგომარეობის კანონის პროლოგ ტექსტს, კანონი მუხბორივ განხილვის შემდეგ ერთხელ იქნა მიღებული. მიღებულ იქნა რთვეთ იმავე მომხსენებლის მიერ შემოღებულ კანონპროექტის სახელი ტექსტი, რომლის ძალიანაც თბილისის უმაღლეს ქალთა უნივერსიტეტს უნდა მიეცეს 50 ათასი წლით დახმარების სახით.  
 სიტყვა ეძლევა პარლამენტის წევრს პ. ქავთარაძეს, რომელიც მხსენებს პარლამენტს ტელეფონის ტელეგრაფის ქსელის გამართვის შესახებ შემუშავებულ კანონპროექტს. კანონპროექტის ძალიან მთავრობა ადევნს, რომ ამა თუ იმ კანონში და საზოგადოებაში ტელეგრაფ-ტელეფონის გაყვანას და ის ხარჯს იხდის ის სოფლები, რომლებიც ამ დაწესებულებით ისარგებლებენ. კანონპროექტის შესახებ სიტყვა ეძლევა პარლამენტის წევრს გ. გობეჯიას.  
 გ. გობეჯია. (ს. რ.) რომ ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელის გაკეთება საქირია—ამის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი მოსახლე და ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენ სავსებით მხარს უჭერთ. მოსულ კანონპროექტის პირველი ნაწილი. მგონია ამის თქმა არ შეიძლება მეორე მუხლის შესახებ.  
 — სოფლის მეურნეობის ასაკვავებით ეს ორი დაწესებულება აუცილებელია და ისინი ამ საქმეში დიდად დაუხმარებენ, მაგრამ ნუ შევითავსებთ ბატონებს, რომ ერთი მხარეს მოსინი ჩვენ შევქნით ყველაფერს, თუ ამ დაწესებულებების მოწყობას მოითხოვს სახელმწიფო, რომ ერთი მხარე იქნება მხოლოდ დახმარება და ეს უსამართლო იქნებოდა გადასახადი და ასეთი ხარჯი ანუ სოფლის საზოგადოებებზე—ეს სახელმწიფო საქმე

და ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყოველმა მოქალაქემ — ქალაქის მცხოვრებელმა და სოფლის მცხოვრებელმა და არა მხოლოდ ერთმა კატეგორიამ. თქვენ კი ასე არ იტყვიით, და თქვენ ზევიდან სჩაგრავით სოფლებს. ვიმეორებ—თუ სახელ. ამას მოითხოვს—შემოსავლის მიხედვით ყველამ უნდა გადახადოს ტელეგრაფ-ტელეფონის ხარჯი.  
 არის აგრეთვე მეორე მხარე, ამ დაწესებულებათა დაარსებას მოითხოვს სოფლის ინტერესები. ეს მათი საქმეა—მოისურვებენ თუ არა. ჯარისათვის საქირია ვიცოდით სოფლების საზოგადოებათა აზრი ამ საქმის შესახებ. საქირია ვიცოდით აგრეთვე სოფლის აზრი—რას გადაიხდის ის ამ საქმეში და რამდენი თანხის გაღება შეუძლია. ეს უნდა გადასწყვიტონ ერთ სოფლებში. ეს იქნებოდა უფრო სწორი გზა და არა ის რომელზედაც ეხლა დამდგარან კომისიის წევრები და შინაგან საქმეთა სამინისტრო. უნდა შეკითხოდით ხალხს, დემოკრატიული ორგანიზაციებს, მაგ. ერმობებს—თუ რა შეეძლოთ მათ. ეს უფრო დემოკრატიული გზა არის და აქ არ ირღვევა პრინციპი—მეტი თვითმსჯელობა და უფრო ადგილობრივი თვითმმართველობების, სწორედ ამ მოსაზრებით ჩვენ—ეს კომბოთ რა რელიგიურ-რელიგიურის საქირიობას მხარს უჭერთ პროექტის პირველ მუხლს და მეორე მუხლის გარეგინას აი მის წინააღმდეგ მიდევნებ. მე წინადადებას ვიძლევი—დაუბრუნდეს ეს კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაფერი ცნობების შესაყრებათ, და როცა ყოველივე ცნობა ადგილობრივ შეკრებულ იქნება და ამის და მიხედვით შემუშავდება პროექტის ხარჯთაღრიცხვა—მაშინ იქნეს წარმოდგენილი პარლამენტში.  
 ოპოზიცი. ბატონებო, ხალხს არ სჭირდება. შეეკითხეთ მას. შეიძლება მან თქვენ ნაზარაულიც ხარჯებზე მეტი გაიღოს. ამას ის იზამს, მაგრამ დააქვით პრინციპი მორალის და მომავალში მეტი პატივისცემით მოვეყარით ხალხის უფლებებს და მის მონაწილეობას სახელმწიფოს შენების საქმეში.  
 ამაღლამარ. პარლამენტის წევრი დლიანი.  
 ს. დლიანი. ს. ფ. სახელით მოითხოვს, რომ ეს კანონპროექტი უსათუოდ მიღებულ იქნას.  
 ამაღლამარ. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.  
 ნ. დ. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. დ. რამიშვილი ვრცელ სიტყვაში უპასუხებს გობეჯიას და ამბობს, რომ რა უფლებით გამოდის ეს თუ ის ფრაქცია კულტურული საქმის წინააღმდეგ. ხალხი, ამბობს მინისტრი, დიდი სიამოვნებით გადაიხდის ყოველივე გადასახადს, ოღონდ მას ტელეფონი გაუყვანეთ. ეს კანონი შედგენილია თანახმად ადგილობრივი მცხოვრებლების მოთხოვნისა. სოფლები ამბობენ, რომ ჩვენ ხე-ტყეს და ფულს მოგვებით. საქმე ასეა და თუ თქვენ გასურთ, რომ ეს საქმე გააკეთოს ერთნაირად, თქვენ არ გქონიათ ქეშმარიტი წარმოდგენა ერთნაირად.  
 გ. გობეჯია. (ს. რ.) მე შეკითხვები თუ რა თქვითა ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოვთქვა ვრცელი სიტყვა იმის შესახებ, რომ სვენ ფრაქციას არ ესმის თუ რა არის ერთნაირად. მე, ბატონებო წინეთ ვანაცხადე, რომ ტელეგრაფ-ტელეფონის გაყვანის საქმე დიდი საქმეა, რომ ის დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი მეურნეობის და კულტურის აუკვავებს მეთქი, და ამიტომაც იყო განაცხადი, რომ მხარს უჭერთ იმ მუხლს სადაც ამ საქმეობაზე ლაპარაკია, მეთქი. და იმის

მტკიცება, რომ ჩვენ ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ვიყავით—არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ, სწორედ იმით, რომ ჩვენ საერთაშორისო საქმეებზე ვეშმარიტი წარმოდგენა გვაქვს და არა ისეთი ცალმხრივი, როგორც ზოგიერთებს, განვიცხადებ, რომ ჩვენ მეორე მუხლის წინააღმდეგ ვართ. ის გზა, რომელიცა შინაგან საქმეთა სამინისტრო დასდგამია, არ არის სწორი გზა, არ არის სწორი გზა ის როცა ხალხის ნებისყოფას და სურვილებს გვერდს უხვევენ და ზევიდან აწერენ—შენ ეს შეასრულე, ეს კარგია შენთვის და ეს არა. ასეთი მსჯელობა დემოკრატიული ქვეყანაში წარმოდგენილია და, ქეშმარიტად, არ არის სახელმწიფო მათთვის, ვისაც მართლებელია და რა არის ხალხის ინტერესები. მე აქ პრინციპიალურად დავსვი საკითხი—შეეკითხეთ ხალხს, მეტი, ვაივით დემოკრატიული ორგანიზაციების აზრი. ახსრულეთ თქვენი მოვალეობა ხალხს წინაშე და შეიძლება ამ ხალხმა სრულიად განთავისუფლოს სახელმწიფო ყოველივე ხარჯისაგან. ვიმეორებ, აქ პრინციპიალური საქმეა და ამ მივიწყებულ პრინციპზე აქ არაფერ არა უთქვამს.  
 აგრეთვე აღსანიშნავია ის სიტყვები, რომლითაც ეს პროექტი გასცა სამინისტროს. ეს სიტყვები ძალიან გვინდობს და იქვს ვიბადლებ ამ საქმის კეთლად შესრულებად, ასეთი სიტყვები საქმის ინტერესს არ მოითხოვს. საქმის ინტერესს აგრეთვე მოითხოვს ფართო მასსთან კავშირი და ეს კავშირი არ არსებობს, ის თანდათან სუსტდება და სწყდება. მე კიდევ ვიმეორებ ჩემს წინადადებას მეორე მუხლის შესახებ. (შეაქვს წერილობითი წინადადება).  
 კამათი შესწყდა. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს. ქავთარაძეს, რომელიც თავის სიტყვაში ეთანხმება გობეჯიას; ეს კანონპროექტი არ არის პრინციპზე აგებული, მაგრამ ასე თუ ვიმსჯელებთ არც ერთი ჩვენი კანონპროექტი არ არის აგებული ხალხის შეკითხვის პრინციპზე და ისინი ყველა უარსაყოფელია. იწყება კენჭის ყრა. ხმის უმეტესობით ს. რ. ფრაქციის წინადადებას, რომ კანონპროექტი დაუბრუნდეს სამინისტროს შესაფერი ცნობების შესაყრებათ—უარყოფილ იქნა.  
 სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ლ. ნათაძეს, რომელიც მოხსენებს აკეთებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განხარისხების შესახებ. მომხსენებლის აზრით ყველა ახლათ განხილ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განხარისხება უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შესაფერი თანხა ამ საქმისთვის შინ. საქ. სამინისტროს უნდა მიეცეს.  
 ს. ჭავჭავაძე. (ს. ფ.) სასტიკით წინააღმდეგა მომხსენებლის აზრისა. ყოველთა შეუწყნარებელია ამბობს იგი, ბიბლიოთეკების საქმე გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როცა არსებობს უწყება, რომელსაც ეს დარგი სავსებით ეკუთვნის და მუდმივ ამას ვანაგებს—განათლების სამინისტროს.  
 ს. აფეხაძე. (ს. რ.) კანონპროექტი, რომელიც აქ წარმოდგენილი იქნა უსათუოდ მისაღები არის. ეს დიდი კულტურული საქმეა და ჩვენ მხოლოდ სიამოვნებით შევვიძლია მივევებით ჩვენი მთავრობის ასეთ ნიშნებს. მაგრამ რაღა შეეხება მის ცხოვრებაში გატარებას და იმ საშუალებებს, რომლის შემწეობითაც ეს კანონი სურთ ცხოვრებაში განახორციელონ—ეს ყოველანაირად მიუღებელია და შეუწყნარებელია. მიუღებელია ეს გზა სწორედ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ეს საქმე სურთ გადსცენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, და რომელიც აქ მომხსენე-

ბელმა წამოაყენა. უმთავრესი დებულება, რომელზედაც აქ მომხსენებელი ამაყრებს თავის აზრს. არის ის, რომ ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო მალე მოაწესრიგებს. ეს არ არის მართალი, ბატონებო. როგორ შეუძლია შინაგან საქმეთა სამინისტროს მალე გააკეთოს ეს საქმე როცა საექვო—საზოგადოთ გააკეთებს ის ამ დარგში რამეს თუ არა? ჩვენ ვიცით, რომ შინ. საქ. სამინ. აუარებელი საქმეა აწევს. მისი პირდაპირი საქმეები, რომელიც მას დაეკისრებული აქვს ისეთი საპასუხისმგებლო და დიდი არიან, რომ თუ მას კიდევ ისეთი არაპირდაპირი მოვალეობა დაეკისრეთ, როგორც ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს განხარისხება—ეს შეუძლებელია. მომხსენებელმა აქ განმარტა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განხარისხება საქმე არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირი მოვალეობა. ჩვენს ფიქრით ეს სამინისტრო, ვერ შესძლებს ამ საქმის მოგვარებას—ის უფრო დაავადებებს ამ საქმეს, რადგან სხვაც ბევრი აქვს მას თავსაშტვრევი საქმეები. საქმისათვის სჯობია, რომ ეს მიენდოს განათლების უწყებას. ის უფრო მალე და კარგად გააკეთებს ამ საქმეს, რადგან ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. განათლების სამინისტროსთან უფრო ახლო სდგას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და მისთვის ეს უფრო ადვილიც იქნება. რა მოსაზრებას უღებდა საფუძვლად კომისია, როცა ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანდობდა, მე არ ვიცი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საქმიანობის და პრაქტიკული საქმეების პრინციპს, რომელზედაც აქ ხშირად ლაპარაკობენ მაშინ გაუგებარია კომისიის ასეთი დადგენილება. კომისიას, ალბათ დავიწყებია ეს მოსაზრება და სხვა რაღაც, ჩვენთვის გაუგებარი დებულება დაუდგია საფუძვლად. ბატონებო, ჩვენს ფიქრით ეს კანონპროექტი უსათუოდ მისაღებია, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ მისი ცხოვრებაში განსახიერება უნდა დაევალოს არა შინაგან საქმეთა, არამედ განათლების სამინისტროს, რადგან ეს სწორედ განათლების სამინისტროს კომპეტენციას შეადგენს (ტაში), შავაძეს საქმის მინისტრის განმარტავს კომისიის ასეთ დადგენილებას და ამბობს რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განხარისხება საქმეა საქმე, ამის აპარტი კი განათლების სამინისტროს არა აქვს. ეს აპარტი ამ ყამათ აქვს შინ. საქმეთა სამინისტროს, იქ სადაც შეკრები არ არის—კომისიებია და კომისიებს დაველოდება 'ამ საქმის დაწყება და გაძლელა პირველ ხანებში.  
 შ. ქარუმიძე (ს. დ.) შეუძლებელია სცნობს უწყებათა შორის ასეთი დავის ატეხას. ის აცხადებს, რომ ასეთი დავა სამინისტროთა შორის მოსაზოილ უნდა იქნეს და ყველამ თავთავის საქმეს მოკიდოს ხელი და ვაივოს თუ რა შეადგენს მის მოვალეობას.  
 ცინცაძე. (ს. დ.) იცავს კომისიის აზრს და ამბობს, რომ სოფლის კომისიები საუცხოვო გაუძლებიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსების და არსებობის საქმეს სანამ ერთბაშე შევამდგინდებთ.  
 კამათი ისპობა.  
 კენჭის ყრით ხმის უმეტესობით გდის წინადადება რომ ეს საქმე დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის განკარგულებაში გადავიდეს შესაფერი თანხაც (მილიონზე მეტი)  
 შემოდის წინადადება, რადგან სამი საათი შესრულდა, კრება შეწყდება. პარლამენტი დებულობს წინადადებას მომხსენებლის იქნას რომ კანონპროექტი—შვეი ქვის დაღბი-

დის ტარიფის აწევის თაობაზე. თანამდებობის მინისტროს ბის შტატების შესახებ უნდა იქნებოდნენ მოსმენილ და მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა. კრება შესწყდა ოთხის ნახევარ საათზე.  
 N. S.  
**აბასთუმანის დაბრუნების და ოსმალეთის წესდვის გამო.**  
 აბასთუმანის სახანო ქონებათა მინისტრი კომისიის წევრი გ. რამიშვილი. რომელიც ამ სამი დღის წინ დაბრუნდა აბასთუმანიდან, მიწათმოქმედების მინისტრისადმი წარდგენილ მოხსენებაში, სხვათა შორის სწევრს, რომ სახანო შენობებიდან (როგორც აგრეთვე კერძო შენობათაგან, რომელთა ბატონები შინ არ იყვნენ) წაღებულია ყოველგვარი ქონება. ჩამოხსნილია და წაღებულია კარებისა და ფანჯრის ჩარჩოების თითქმის 90 პროცენტი, და იმ მცირე რიცხვიდან, რომელიც დარჩა, ყოველგვარი მოწყობილობა წაღებულია, ხოლო შუშები ფანჯრებში ჩამტვრეულია. მრავალ სახლათვის მოუტყავებიათ და წაუღიანო რკინის სახურავები. გადარჩენილი მხოლოდ მთავარი შენობა აბანოსი და მინერალური წყლის მექანიზმი, თუმცა მოძრავი ქონება შენობიდან სადგებით გატანილია. ხელუხლებლად გადარჩენილი ერთადერთი დაწესებულება წითელი ჯვრის, საერთოდ ის ხარალი, რომელიც ოსმალეთ მიუყენებიათ აბასთუმანისთვის, უდრის 3-4 მილიონ მანეთს. ხარალი-ჯერ კიდევ არ არის სისწორით გამოანგარიშებული.  
 შემდეგ გ. რამიშვილი თავის მოხსენებაში უთითებს ერთ საინტერესო გარემოებაზე, სახელად „იმაზე რომ აწყუროდნენ აბასთუმანის ყველა სოფლებში დაფანტული ქონება, ცხადია ოსმალთაგან ვაზიდული აბასთუმანიდან. ფასიანი ნივთები კი, როგორცა და ვერცხლი, ძვირფასი ქუთუნილი და სხვა, რამდენათ ვიცით, ვაზიდულია ბათუმში, როგორც უფრო სიმიქლო ადგილში. ამავე მიმართულებით მთელი ქარაგნებით გამოაქვთ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდან განურჩევლად, ყოველგვარი სურათით, როგორც მავალითა და სხვა; რომელთაც ოსმალებს ართმევენ მცხოვრებთ ან უფასოთ ან საზღაპრო იან ფასებში, რის გამოც მაზრების მცხოვრებნი მომავალი შიმშილის შიშს შეუწყობა.  
 თუ მივიღებთ მხედველობაში მცხოვრებთა ნათქვამს და სულიერ განწყობილებას, სწევრს შემდეგ გ. რამიშვილი,—მცხოვრებლებს სულიცხუთებათ ახალი ბატონების უფლებებზე, რომელთაც სრულიად გაუცრუებს მათ იმედები და მოლოდინი და როგორც მცარცვლებს მიჰქვთ მცხოვრებთაგან ყველაფერი; ისინი იმ იმედით, რომ დაუბრუნდებიან ისევ საქართველოს ტერიტორიას, თუმცა მეორე მხრივ ამავე შიშით შეწყურებენ, ვინაიდან აბასთუმანის მავალითი იძულებს მათ იფიქრონ, რომ ოსმალები მაზრიდან გასვლისას ქვასქვაზე არ დატოვებენ და ვაწიკავენ ყველაფერს, რის წაღებაც იქნება შესაძლებელი.  
 მიმდის კომისიის წევრებს, როგორც მთავრობის წარმომადგენლად ყველაზე მიმართადენ ხოლომე თხოვნი, რომ ვინიც ოსმალები დასკლიან მაზრას, მათ იფიქრონ ამაზე და იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე დროზე ზომების მისაღებათ, რათა ოსმალთა გააძვალ ჯარების ასეთ მტაცებელ მოქმედებას თუ მხოლოდ არ მოეცება, ყოველ შემთხვევაში, უფრო იოლად დაღწიონ თავი მათ გასვლას.

